


ს.ა. ჯ. ლოლუასი


გვძრს კვლავ „ლირების“ საქმედ მიაჩნია სტუმრის გაოცება უზომო რაოდენობის სორაგით, თავმოწონება ძვირფასი ანტიკვარული ავეჯით, ჯამ-ჭურჭლით, უგემოვნოდ გადატვირთული ბინებით, ლამაზდინი ნივთებით, რაც მათთვის მხოლოდ ინტერიერის გალამაზების საშუალებაა. ამასთან, ამ სიმდიდრის ნაწარმ ყოველთვის შრომითი შემოსავალი არ არის.



— აგას წინათ სომ წაიღათ ძვირფასი ანტიკვარული ავეჯი?
— ახლა ახალ სტუმრებს ვაქლოდები და ისინიც მიწადა, გადავრიო!

სამკურნალო დაწესებულებებში ჯერ კიდევ ხშირია წამლებით სპეკულაციის, ავადმყოფებისაგან ფულის გამოძალვისა და ადამიანთა აბუნად აგდების შემთხვევები. ჯერ კიდევ არ არის აღკვეთილი ისეთი ფაქტები, როცა საკმაოდ ავტორიტეტულ მკურნალებს ერთგვარი ნიხრი აქვთ დაწესებული ამა თუ იმ სახის სამედიცინო მომსახურების განვითარების. ზოგჯერ მძიმე ავადმყოფებიც კი საათობით დგანან რიგში კერძო ბინებში, როცა იმავე მკურნალის მისაღები სამკურნალო დაწესებულებაში თითქმის ყოველთვის ცარიელია.

ნახ. № 3. შორჩხინძის



— მთელი თვეა, აჲ ვათან-ვაღამათ აქიმთან მიღებაზე და თქვენ ურიგოდ ბინდათ, შეხვი. დათქ?

— აჲ თვითონ ვარ აქიმი! შემიშვით შინ და მიგიღებთ!

შეპირებული შეჩიქო!

მოთხრობა

პენიცილინი დამჭირდა ბავშვისთვის — მთელი ქალაქი შემოვიარე!.. ვერსად ვიშოვე!.. არის შემთხვევა, ესა თუ ის წამალი რომ დაგჭირდება, თეთრ შაშვად იქცევა!.. ძალიან რომ შევწუხდი... ერთ აფთიაქში გამყიდველმა გოგონამ მიჩიჩა, ნაბრძანდით ჯანმრთელობის განყოფილებაში და იშოვითო! სხვა რა გზა მქონდა?! — ნავედი ჯანმრთელობის განყოფილებაში, მაგრამ უფროსი ადგილზე არ დამხვდა. მეორე დღეს შაბათი იყო, მესამე დღეს — კვირა!.. უფროსი რომც დამხვდებოდა, რა აზრი მქონდა?! — ვიცნობდი?!. მიცნობდა?!.

საქართველო პატარა ქვეყანაა. მისი დედაქალაქიც ხელისგულის ოდენაა. ყველა ერთმანეთს იცნობს, ყველა ერთმანეთთან რელიციოზა დაახლოებული! მე მგონი, არ უნდა გამიჭირდეს ნაცნობობის გამოხატვა-მეთქი! — დავიძვედი თავი.

მივედი შინ. ყველაფერი მეუღლეს მოვასხენე. მეუღლემ, დაფიქრების გარეშე, შალიკოსთან მიმასწავლა. გამოგიტყდებით და, პირველად მაშინ ვაღიარე ქალის გამჭირვალეობა. ასეთი საქმისთვის შალიკოზე უკეთეს მართლა ვერ ინატრებდა კაცი!

შალიკო და მე ბიძაშვილ-მამი-დაშვილები ვართ, თანაც ერთ

უბანში ვცხოვრობთ. მიუხედავად ამისა, ყოველდღიური ორომტრიალი გვიძვირებს ერთმანეთთან ხშირ მისვლა-მოსვლას. თუმცა, ყველაზე მეტად, ისევ ჩვენ ვანერხებით ნათესავურ მიკითხვ-მოკითხვას, რაშიც, უპირველესად, შალიკოს დიდ მოსიყვარულე ბუნებას უნდა ვუმაღლოდეთ.

დიდხანს არ დამიყოვნებია, ბავშვებისთვის ტკბილეულით ხელი დავიმშვენი და მივადექი შალიკოს.

შალიკო ახალი მოსული დამხვდა სამსახურიდან. ჩემს დანახვაზე ცას ენია კაცი, მაგრამ უმაღლეს მოვლადობა სახე — სულ დაიკარგე, ერთს არ გამოივლი, ერთს არ მოგვიკითხავთ, მართლმოდებოდა?!. რომ გაიგო, ბავშვი სიცხიანი მყავდა, ცოტა დაშოშმინდა. დრო ვიხელეთ და მოსვლის მიზეზიც გავუხსილეთ.

— ვისა, ვისა?! ვის ხომ არ ვიცნობ?! — და თვალები მონკურა.

— ჯანმრთელობის განყოფილების უფროსი! — ნამალი მინდა გაემეცისთვის! — გავიმეორე ისევ.

— მაყვალა! — გასძახა მეუღლეს, — რას შერები მანდ?! — ახლავე, მზად არის ყველაფერი! — გამოეპასუხა სამხარეულოდან მეუღლე.

— ახლა მე ორ დოქტორს გამოვიტან, თეთრს და შავს. გასინჯე, რომელიც მოგეწონოს, ის დავლიოთ! — მითხრა შალიკომ და სარდაფში ჩავიდა. რამდენიმე წუთში დოქტორი ხელდამშვენებული შემობრუნდა, კარადიდან ბროლის ორი ჭიქაც გამოაჩვენა და კინკლიკინკლით გააპიპინა ორივე.

— შავი ღვინო საფერავია, თეთრი — რქანითელი! ორივე საკუთარი ხელით დავწურე! — თქვა სიამაყით.

ბოლო ხანებში, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ვერიდები სასმელს, მაგრამ ვიცოდი, ახლა არაფერი გამომედიოდა! — მკვდარიც რომ ვყოფილიყავი, უნდა გამეხინჯა ღვინო, უფრო სწორად, უნდა გამომეცლა ორივე სასმისი! ამიტომ ყოველგვარი თავპატივის გარეშე, ჯერ ერთი ჭიქით ჩავიკოლონე ყელი, მეორე — მეორით! ორივე ერთმანეთზე უკეთესი იყო. მაინც შავი ღვინო ვარჩიე, ნაკლებმაყვე იყო და იმიტომ.

გაიშალა სუფრა, შევყვით მამაპაპურად, შორიდან და ტკბილად. რა არ მოვიგონეთ, ვინ არ ვახსენეთ, რა სადღეგრძელო არ შევცხით!.. ღამის სამი საათი იქნებოდა, სახლში რომ მივედი. დამხვდობებისას შალიკომ ერთი კი ჩაილაპარაკა, მაგი არაფერი, ორშაბათს მოდი ჩემთან სამსახურში!..

შავმა ღვინომ მაინც თავისი გაიტანა: ორი დღე ჭარხალივით მედო შეხვეული თავი ბალიშზე!..

ორშაბათს, დათქმულ დროს, მივედი შალიკოსთან, ბევრი არ გავგებამს, დავიჭირეთ ტაქსი...

— ნადი პირდაპირ! — უთხრა მძღოლს შალიკომ და მომიბრუნდა: — მეგობარი მყავს ერთი, კომბინატში! კარგად იცნობს განყოფილების უფროსს!..

შალიკოს მეგობარს დილის თათბირი მქონდა. ჩვენს დანახვაზე კაცი დასაბმელი გახდა: — საიდან, როგორ, რა ქარმა გადმოგადგო?! — მიყვარა შალიკოს. შალიკომ ჯერ ჩემი თავი წარუდგინა მეგობარს და მერე მოახსენა, რა ქარმაც გადმოგადგო.

— მაგაზე მეტი ღმერთმა ნუ-

რადფერი გავიჭირეო! ვიცნობ რომელია?! — ერთად ვიმგზავრეთ ორი წლის წინათ მატარებლით გაგრიდან თბილისში, ახლან უბარი წამალი მამოვინა... — და უცებ დაუნდა სხას: ცოტა უხერხული ხომ არ იქნება, შედიხე რომ შევანახო?!. მაგრამ არაფერი! რაც მთავარია, წამალს ვიშოვით! — გადაიცვა პალტო, თანამშრომელს რაღაც დაუბარა, შემდეგ შალიკოს მიუბრუნდა, შენ არა ხარ საჭირო, აგერ მე და ჩვენი ძმა ნავალთ, ისეთი მეგობარი მყავს, განყოფილების უფროსი სულში იძევრისო!

ნავედით მე და შალიკოს მეგობარი იმ კაცთან, ვისაც სულში იძევრდა განყოფილების უფროსი. ხვეწა-კოცნა და მიკითხვ-მოკითხვა იქ უნდა გენახათ! — სულ დანერვილებით გაიხსენეს ბოლო ქეიფის ყოველი წამი, როგონდ რესტორნიდან გამოსვლის ზოგიერთი დეტალი ვერა და ვერ დაახუსტეს!..

— მაგას როგორ დაგზარდები, ჩემო ოთარ, მაგრამ!.. — სმა გაეზარა შალიკოს მეგობრის მეგობარს, — ამას წინათ ცემე-ნტი მთხოვა, ვერ გავუკეთე და ცოტა მერიდება, თუმცა, ჯავრი ნუ გაქვს: ვასოსთან მივიდეთ, მისი კლასელია!..

მივადექით ვასოს კაბინეტის კარს. გაირკვა, რომ შემონებზე ნასულიყო რაიონში და ორ დღეში ჩამოვიდოდა.

— დღეს მაინც ვერაფერს მოვასწრებთ! — თქვა ბიჭიკომ და მეორე დღისთვის დაეთქვით შეხვედრის დრო.

მივედით მეორე დღეს ვასოს სამსახურში, მაგრამ ვითხრეს, დარეკა, შეუძლოდ ვარ და დღეს ვერ გამოვალ!

რა უნდა გვექნა?! — მივადექით შინ! მართლაც ოფლში გახვითქული იწვა ვასო! — მატარებელში გავცივდი, ხომ ხედავთ, ბიჭებო, რა დღეში ვარ?! იგორთან მიდი ჩემი სახელითო!..

ორი დღე იგორი ვეძებთ! მან საშკასთან გაგვგზავნა. სამი დღე საშკას გადავყევით!.. საშკამ ზურასთან წარგვადგინა! ზურამ გივის დაურეკა! გივიმ მამიას სთხოვა! მამიამ — ტაკაშას! ტაკაშამ ნიკოსთან გაგვატანა წერილი! ერთი კვირა ნიკოს წამოსვლას ველოდეთ ჯიმიდოდან! ნიკომ დათოს სთხოვა! დათომ დენისთან მიგვიყვანა! დენისმა — ჯუმბერთან! ჯუმბერმა — აჩიკოსთან!.. და, როგორც იქნა, მივალნიეთ ჯანმრთელობის განყოფილებამდე!..

აჩიკომ განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი გავგაცნო!.. იმან კიდევ თავის კოლეგასთან მიგვიყვანა!.. იმ კოლეგამ კარისკაცთან წარგვადგინა!.. კარისკაცმა მეორე დღისთვის დავგებარა! — დამლაგებელი უკვე ნასულია!..

როგორც იქნა, ენახე დამლაგებელი და ვიყიდე მისგან. მართალია, ჩემს გოგონას სიცხე უკვე აღარ მქონდა, მაგრამ წამალზე უარს ხომ არ ვიტყვოდი?! —

მოვედი შინ. პენიცილინი მაგიდაზე დავდე და შალიკოს დავურეკე, შენი წყალობით ვიშოვე ის წამალი და დიდი მადლობა-მეთქი!

— რა წამალი?! — გაუკვირდა შალიკოს, რადგან კარგა ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც წამლის საშოვნელად ვესტუმრე და აღარ ახსოვდა, რისთვის ვუხდიდი მადლობას!..

ნოზადი ბარათია

აპოკალიფსიკური სიკვდილის!

ფელაგონი

ამ ოცნებაში წლის წინათ ლანჩუთის რაიონული საავადმყოფოს შენობას დასაბამიდან ნახევარი საუკუნე რომ შეუხსრულდა, კეთილმოსურნეებმა მრავალმხრივ დალოცეს და უსურვეს — ერთი ამდენი კიდეც გაგეძლოსო!.. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, „ტკაც“ და — შენობა შუაზე გაიშალა!.. ემატებოდა შენობას წლები და ბზარს — სისქე-სიგანე! შედგა პირველი კონსილიუმი, დაისვა დიაგნოზი მწვავე დასკვნებით და აფრინეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროში!.. ეს ამბავი 1966 წელს მოხდა!..

მას შემდეგ ავადმყოფი საავადმყოფოს მეურვეებმა კიდეც 5 წელიწადს სხვადასხვა ინსტანციაში თორმეტჯერ გაგზავნეს უპასუხოდ დარჩენილი თორმეტი თხოვნა-არჩა.

— გაუძლოთ უნდაო! — მოვიდა, როგორც იქნა, მეცამეტე თხოვნის პასუხი.

ერთი სამი წელიწადი წაუყრეს შენობის სატკივარს!.. მართალია, ჰირო მაღეს, მაგრამ ჰირომა თავი არ დამალა!.. 1974 წელს კვლავ შეიკრიბა კონსილიუმი, კვლავ დაიწერა თხოვნის უსტარი: აღინიშნება შენობის სხეულის მთლიანი ატროფია, კანის გამოფიტვა, სისხლძარღვების (იგულისხმება: წყალსადენი, გათბობის სისტემა, კანალიზაცია...) ფუნქციონალური მოშლა, მკვეთრი სკლეროზითა და ათეროსკლეროზით, კიდურების (კიბეები, სახურავი და სხვა) დამბლა, შინაგანი ორგანოების კლინიკური სიკვდილი (გარდაცვალება). დაახლოებით ამგვარი შინაარსისა იყო დიაგნოზი!

და, აი, 1977 წლის თებერვალში საავადმყოფოა სამინისტროდან პასუხი მისწერეს, 1978 წელს შევადგენთ პროექტს, ხოლო მშენებლობას მეთექვსმეტე გავითვალისწინებთო, მაგრამ...

ქვეყნად ბრწყინვალედ გასრულდა მეთექვსმეტი, სწორედ საავადმყოფოს შენობას კი ერთი აგურიც არ შემატებია! სული კბილით უჭირავსო, რომ იტყვიან, ისე არის. კუთვნილი 7-8 კვადრატული მეტრი ფართობის ნაცვლად, თითოეულ ავადმყოფზე აქ 3 კვადრატული მეტრიც არ მოდის! თავი გვიღვეს, ბატონო, საავადმყოფოს შენობაში, ტანი და ფეხები გარეთ გვაქვსო! — მწარედ ხუმრობენ ავადმყოფები. სახუმაროდ არც საექიმო პერსონალს აქვს საქმე — ექიმები და ექთანები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ ვის მიასწრებს მაგიდასთან ავადმყოფობის ისტორია რომ შეავსონ. სამაგიეროდ, მორიგეობა სრულდება პირნათლად: გუშაგებივით ფეხზე ფეხილობენ! — დასაწოლი კი არა, დასაჯდომი ადგილიც არა აქვთ!..

თუმცა არ ყრიან ლანჩუთელი მკურნალები ფარხმალს! — ვინ იცის, — ამბობენ, — იქნებ, მართლა მოხდეს სასწაული და მიღწიოს შენობამ ორი ათას წლამდეო?! ღმერთმა ქნას!

დავით ასპურაშვილი,

„ნინანგის“ კორესპონდენტი.

ორსანტიელთა სატკივარი

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის ახალგაზრდობის სახელით რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც უკმაყოფილება გამოთქმული კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის ჩამორჩენის, ელექტროენერგიის სჭირი გამორთვისა და სხვა ნაკლოვანებათა გამო.

ორსანტიაში 1974 წლიდან არის სანერგე საბჭოთა მეურნეობა, ცხოვრობს 666 კომლი.

ქაჯვის ძველი...

დამპალ, გადახრილ ბოძებზე არას ვიტყვით ნამდვილად, მაგრამ სჭირ უსინათლობას ვერ ვეგუებით ადვილად!.. საშიშ ადგილზე დენსა აქვს ძაბვა, მაღალი ძალის მუდამ ძაბვის ქვეშ ცხოვრება როგორი ასატანია?!.

კლუბის ვედრება

მორყეულ, ძველ შენობაში კლუბს სხვა არ დარჩა ვედრებად — ოღონდ გაშალონ როგორმე მხატვრული თვითმოქმედება!

დაკარგული სასადილო

ახლის აგების საბაბით უცებ დაუსვეს წერტილი — ერთის მოქნევით აღგავს, ისედაც წელმოწყვეტილი!..

ამაოდ ელის!..

არვინ გარჯილა, მწვანე მინდორი საასპარეზოდ გადაექციათ!.. და მოედანი ამაოდ ელის ქომავს, სპორტულ წრეს, ანდა — სექციას!

ანზორ გარამია,
„ნინანგის“ კორესპონდენტი.



— როგორც ჩანს, მატერიალური დაინტერესება ამ ფაბრიკაში მაღალ დონეზეა!

ჭაბოსნური ხალაში

მოთხრობა

დერეფანში ფაკულტეტის ადგილობრის თავმჯდომარეს შევხვდი.

— ლექციის შემდეგ შემომიარე, საქმე მაქვს! — მითხრა და კიბეებს აუყვია.

როგორც იქნა, დამთავრდა ლექცია!..

— მთელი წელიწადი მოსვენება რომ დამიკარგე, საგზური მიმოვეო, აი, ისიც! — და გულისჯიბიდან ორად გაკეცილი ორი საგზური ამოიღო.

— საგზური?! სად?!

— სად და — თურქეთში სამოგზაუროდ! საჭირო საბუთები ორ დღეში უნდა მომიტანო, თორემ დაგვიანებულს აღარავინ მიიღებს! დღესვე სურათი გადაიღე და პოლიკლინიკაში ცნობა აიღე, თან ეს ანკეტა შეავსე!

ფოტოატელიდან პოლიკლინიკაში წავედი. ექვსი საათი სრულდებოდა. რეგისტრატორმა, ანკეტასთან ერთად, რიგის ნომერიც გადმოცა — მეოთხე ვიყავი!..

— რომელი ნომერი ბრძანდებით? — მკითხა კარების კლიტაქცეულმა ქალმა.

— მეოთხე.

— აუჰ! აბა, დღეს არ მოგინევთ! — მომისამძიმრა მეორე სკამზე მჯდარმა ქალმა.

— არ მომინევს?! — გავიკვირვე, — სამუშაოს დამთავრებამდე ორი საათია კიდევ!..

ამასობაში თეთრ ხალათში გამოხვეული ფაშფაშა ქალი კაბინეტში შევიდა და თანხლები სამი ახალგაზრდაც უხმოდ მიითვალა...

— იქნებ, თქვენც მოგენახათ აქ ნაცნობი?! ნახეთ და, ურიგოდ შეგიყვანთ! არც დროს დაკარგავთ და საქმესაც გააკეთებთ! — მირჩია გულკეთილმა, რიგით მეორე ქალმა.

კაბინეტიდან ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. საათს დავხედე: ექიმი ერთ საათში მუშაობას ამთავრებდა!.. გული გადამიქანდა — თურქეთის საგზურს დაკარგვის საშიშროება შეექმნა!..

— გამატარეთ! — ჩამესმა ყურში გაბრაზებული ხმა. კეხიანცხვირიანი, თეთრხალათიანი მამაკაცი ორ გადაპრანჭულ მანდილოსანს მოუძლოდა და კაბინეტის კარების გაღებას ცდილობდა. მალე ოცნებადქცეულ ოთახში კიდევ ორი თეთრხალათიანი შევიდა...

მიღების საათები დასრულდა!.. ავადმყოფები მაინც იცდიდნენ!.. იმედი ჰქონდათ, რომ ექიმი მიიღებდა!.. დიდხანს აღარ გვიცდია. კარები გაიღო და ლოყებლაყლაყა კაცი-ექიმი გარეთ ძლივს გამოიჭედა!.. მომლოდინეთ დამცინავი თვალები მოგვავლო და კიბეებს დაუყვია!..

იმედად ხვალინდელი დღელა დამრჩა!.. არა, რალაც უნდა ვიღონო!..

მეორე დღეს პოლიკლინიკის პირველ სართულზე, ტუალეტში, ქათქათა თეთრი ხალათი ჩავიცვი და მეორე

სართულს იქაურ თანამშრომლად მოვევლინე. სასურველ კაბინეტთან ხალხი კვლავ საკმაოდ იცდიდა. მათ უსიტყვოდ, მაგრამ აშკარა უკმაყოფილებით დამითმეს გზა.

შეგნით შესულს, ექიმმა უაზრო მზერა შემომავება. მერე ჩემს თეთრ ხალათს შეხედა...

— თქვენ ჩვენი თანამშრომელი ხართ?!

— არა, ბატონო! მე თქვენი პოლიკლინიკის მეზობლად, გასტრონომში ვმუშაობ!

— გასტრონომში?! — გამოცოცხლდა იგი, — გისმენთ და მიმსახურეთ!

ჩემი სურვილი მოკლედ გავაცანი. გული გამაღებით მიცემდა!..

— ჰოო!.. — ააკაკუნა მაგიდაზე კოტიტა თითები, — ცოტა ძნელია!.. — შეხედა მაგიდის მეორე მხარეს მჯდომ ცისფერთვალზე ექთანს, — მაგრამ თქვენისთანა საჭირო კაცისათვის თავის შენუხება ღირს!

ექიმმა სკამზე გადაკიდებული პიჯაკის ჯიბიდან ორმოცდაათმანეთიანი ამოიღო და წინ დამიდო...

— ცოტა არ იყოს, ულამაზოდ გამოდის, თითქოსდა, სამაგიეროს გაზღვევინებდეთ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს! შაბათს მეუღლესა და ბავშვებს აგარაკზე ვგზავნი! ჰოო, თუ ხელს გამიმართავთ და რიგში დგომას ამატებთ, მაღლობელი დაგრჩებით!..

— თორმეტი საათისათვის ცნობა მზად იქნება! — მითხრა გაღიმებულმა ექთანმა და კარებამდე მიმაცილა (ექიმის თხოვნას მან თავისიც დაურთო).

ქუჩაში გამოსული, კარგა ხანს ვიდექი პოლიკლინიკის წინ. გასტრონომის კარებში თეთრხალათიანი, მაღალი მამაკაცი შავსათვალთან მანდილოსანს ელაპარაკებოდა. თეთრმა ხალათმა ფიქრებიდან გამომიყვანა. მეც ხომ თეთრი ხალათი — ყოვლისშემძლე ხალათი მეცვა!..

მოსაუბრე წვეილს გვერდი ავუარე და დარბაზში შევედი. დახლიდან სალარომდე უზარმაზარი რიგი გაჭიმულიყო!.. იყო ერთი ყაყანი!..

— რა გნებავთ?! — მომესმა კითხვა და წინ ნაცნობი თეთრხალათიანი მამაკაცი დამიდგა, — თქვენ, ალბათ, პოლიკლინიკაში მუშაობთ! — დაგინახეთ, იქიდან რომ გამოსხვედით!

— ჰო, ექიმი ვარ! — უპასუხე, —



ცოტა რალაც-რალაცები მინდოდა, მაგრამ ძალიან დიდი რიგია, ავადმყოფებს ვერ ვალოდინებ!..

— რიგში როგორ დაგაყენებთ?! — მითხრა ახალგაზრდობილმა და სანყობში შემოძლვა.

— ინებეთ, რაც გნებავთ და — რამდენიც! სიმძიმემ არ დაგაფრთხოთ, მუშას გამოგაყოლებთ!

ანგარიში გავუსწორე, დავემშვიდობე და, ის იყო, წამოსვლა დავაპირე, რომ მორიდებით დამინყო:

— სათხოვარი მაქვს თქვენთან და, არ ვიცი, როგორ გთხოვოთ! მეშინია, სამაგიეროს გადახდაში არ ჩამომართვათ!

— გისმენთ!

— ჩემი ქალიშვილისათვის საავადმყოფო ფურცელი მჭირდება! მართალია, შვებულება აგვისტოში ერგება, მაგრამ მოხდა ისე, რომ საგზური ივლისის თვეში იშოვა!..

— რა საგზურია ასეთი?! — დავინტერესდი მე.

— თურქეთის საგზური, — მომიგო, — ტურისტული!

დახმარება აღვუთქვი და ქალიშვილის კოორდინატები ჩავინერე. ჩვენი თანამშრომელი აღმოჩნდა. თავმჯდომარესთან ნანახი მეორე საგზური, თურმე, მისი ყოფილა!..

კაბინეტში ტომარაკიდებული მუშით შევედი. გახარებული ექიმი სკამიდან წამოვარდა და სიმძიმისაგან წელმოხრილ კაცს სავსე ტომარა ზურგიდან ჩამოხსნა.

— თქვენი ცნობა მზად არის! — გამომინოდა სასურველი ქალაღდი ექთანმა.

— ამასაც თუ გამიკეთებდით... — ვთქვი და მაგიდაზე ჩემთვის უცნობი, მომავალში უკვე ნაცნობი ქალიშვილის მონაცემებიანი ქალაღდი დავეუდე.

— კლარა, შეავსე საავადმყოფო ფურცელი და მთავარ ექიმს ბეჭედი დაარტყმევინე!

— ესეც ასე! — მოიფშვნიტა ხელე-ბი კმაყოფილმა ექიმმა, — თუ სითამამეში არ ჩამითვლით, მომავალ თვეშიც შეგანუხებთ! ვინ იცის, ჩემი ჯალაბობა რას მოისურვებს?! —

— სიამოვნებით! სამსახურს არ დაგზარდებით! — ვუპასუხე მადამოსულ ექიმს, — მაგრამ შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ უნივერსიტეტში, ვაჭრობის ეკონომიკის კათედრაზე ვინყებ მუშაობას!..

— უნივერსიტეტში?! — ამოიროხროსა კიდევ ერთხელ და სახეაყინული-ლებული გადამეხვია, — წელს ჩემი ძმისშვილი აბარებს ვაჭრობის ეკონომიკაზე! შენზე უკეთეს პატრონს სად ვნახავ?! ეს რა კაცი ვიპოვე! დამინერე შენი მისამართი! აუცილებლად გნახავ! — მითხრა და წინ რეცეპტის ბლანკი დამიდო.

გელა ჯიღაური

საფეხბურთო მომთხრობა


საქართველო
გერმანიის
ბოლომდე

სახ. ჯ. ლოლუასი



წითელ-ყვითელ „ბარათებით“
მორთული და მოქრთმული

ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებობს მეცენატობა და საქმოსნობა. ადგილებზე აქტიურ ფიზკულტურულ-სპორტულ მომზადებას, ტალანტების ძიებას და აღზრდას ხშირად ცვლის არაჯანსაღი ბატალიები სპორტსმენების გადაბირების გამო, იდება სათაკილო ხელშეკრულებები, არის გარიგებები და დაპირებები... საკუთარი ფეხბურთელების აღზრდაზე ზრუნვის ნაცვლად, მთელი ყურადღება გადააქვთ რაიონისა თუ ქალაქის ფარგლებს გარედან ფეხბურთელთა მოზიდვაზე, უფრო სწორად — მოსყიდვაზე. სხვადასხვა ქალაქიდან გადმოჰყავთ ფეხბურთელები, ზღაპრულ გასამრჯელოს პირდებიან და უზღიან კიდევ... უხეში ფინანსური დარღვევებით, ხელფასის ორი, სამი და მეტი განაკვეთებით, სხვადასხვა ორგანიზაციაში ყალბად გაფორმებებით. სწორედ მეცენატებისა და მათი უპატიოსნო მაქინაციების გამო რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში ხშირია სუსტი, არაობიექტური მსაჯობის შემთხვევები.



— ნახე, რა გურთი ვერ აიღო ამ გლახამ?
— სამაგიეროდ, გიძია, მაგი შვიდ ადგილას
ილაგს ხელფასს!

ნახ. მ. აბაშიძისა



უტაქსტოდ

ნახ. ვ. კუცინასი



უტაქსტოდ



ნახ. ვ. კუცინასი

— აღარ მატლით ქვევრის გარეცხვას?!



— ვაიგა! ეს პენალტი თუ გავუშვით, ჩვენს
გაგვიშვებან ამ რაიონიდან..

782

82-467



სატირკული
შურნალი, ნიუ-ფორთიქა
№ 14 (1624) ივლისი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან

**მთავარი რედაქტორი
ჯაურ ბოლქვაძე**

**სარედაქციო
კოლეგია:**
ზაზა ამირეჯიბი,
ნოზა ბართია,
ბორის ბურაულია,
ნოზა დუშაძე,
რეზა თვაბაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოზა მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),
ალექსანდრე სახსონია,
ბეზან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიგლა ფირცხალაძე,
ჯანსუღ ჩაბკიანი,
თამაზ წიგწივაძე,
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაფი ჯუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კახალაშვილი

გადამცემი ასაწყო
9. 6. 82 წ.
ხელმოწერილია დასაბამად
16. 7. 82 წ.
კალაღის ჯომა 70x100
ფიზიკური ნაბამდი
ფურცელი 1
საღარიფხო-საგამოცემო
თაბახი 1,7
საქართველოს კ. ც. -ის
გამოცემლობა
ლენის ქ. №14,
შეკვეთა № 1487 უე 06363
ტირაჟი 148.950.
ეურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხა-
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკე-
ბის — 99-02-38, მდივანი-მემან-
ქ-ის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(на грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.
ფასი 20 კაპიკი
ინდემსი 76137

მოლაპარაკება მართლაც უნდა ისახედეს
მიზნად სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვასა და
შეშვების, და არ ნილბადეს გამაღებული შეიარაღების
განგრძობას.



„გვრიდობის მოტიჟული“

467

82
12/111